აუტიზმი

მერი ჭელიძე

რა არის აუტიზმი?

აუტიზმი ტვინის განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევის შედეგია, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს:

- ვერბალური და არავერბალური კომუნიკაციის დამყარების უნარზე;
- სოციალური ურთიერთობების ჩამოყალიბებაზე;
- გონებრივი განვითარების პროცესებზე.

აუტიზმის გამოვლენის ასაკი

აუტიზმის სიმპტომები, ჩვეულებრივ, თავს იჩენს ბავშვის ცხოვრების პირველი სამი წლის განმავლობაში და თან სდევს მას მთელი ცხოვრების მანძილზე.

რითი ხასიათდება აუტიზმი?

- მეტყველების პრობლემები
- კომუნიკაციის დარღვევა
- სენსორული რეაქციის წინააღმდეგობრივი ნიშნები
- გონებრივი უნარების არათანაბარი განვითარება
- ცვლილებებისადმი რეზისტენტობა
- ემოციური სფეროსა და ქცევის პრობლემები

მეტყველების პრობლემები აუტიზმის დროს

- შეიძლება ცვალებადობდეს სრული მუტიზმიდან მანერულ მეტყველებამდე.

- ბავშვისათვის მეტყველება არ არის კომუნიკაციის საშუალება.

- დიალოგური მეტყველებისას ხშირია ექოლალიები.
- აქვთ ფორმალური და მონოტონური ხმა, ან გაწელილი, წამღერებითი ინტონაცია.

- თავის თავს აღნიშნავენ მესამე და არა პირველ პირში.
- საყვარელ შეზღუდულ თემებზე საუბარი.

- საუბარი სტერეოტიპული ფრაზებით, უცნაურ მეტაფორების გამოყენებით

- მეტყველების განვითარების დარღვევის მიხედვით გამოიყოფა 3 ჯგუფი:

1. წარმოთქვამენ ცალკეულ ბგერებს;
2. შეუძლიათ რამოდენიმე ფრაზის წარმოთქმა;
3. სიტყვათა დიდი მარაგი და განვითარებული ფრაზული მეტყველება.

სამივე ამ შემთხვევაში ბავშვი მეტყველებას არ იყენებს როგორც კომუნიკაციის საშუალებას.

კომუნიკაციის დარღვევა აუტიზმის დროს

- ✓ბავშვი არ შედის კონტაქტში ოჯახის წევრებთან, შეიმჩნევა უცნაური გულგრილობა ახლობლების მიმართ. არ აქცევს ყურადღებას ოჯახის წევრებს, თითქოს ვერც ამჩნევს მათ;

- ✓არ თამაშობს სხვა ბავშვებთან;
- ✓არ რეაგირებს საკუთარ სახელზე;
- ✓ერიდება და არ უყურებს სხვა ადამიანებს;
- ✓ეწინააღმდეგება ხელში აყვანას;
- ✓არ პასუხობს სხვის ემოციებს, ვერ იგებს სხვისი ემოციის გამოხატულებას, სახის ექსპრესიას და ჟესტებს;
- ✓ბავშვს ჩვილობის ასაკშივე აღენიშნება მიჯაჭვულობის დარღვევა და ემოციის გაზიარების პრობლემები;
- ✓არ ესმის სხვისი მისდამი დამოკიდებულება და საკუთარი მოქმედების გავლენა სხვა ადამიანებზე.

სენსორული რეაქციის წინააღმდეგობრივი ნიშნები

- სენსორული გამღიზიანებლებისადმი მომატებული მგრძნობელობა, რომელიც უსიამოვნო რეაქციას იწვევს.
- განსაკუთრებულად ძლიერი გამღიზიანებელია ადამიანის სახე.
- ბავშვი უკვე ჩვილობაში რეაგირებს უარყოფითად ფერად სათამაშოებზე, ხმებზე, ტანსაცმლისა თუ საჭმლის გარკვეულ სახეობაზე.
- პარადოქსულ უგრძნობლობას გარემო გამღიზიანებლების მიმართ: ბავშვი შეიძლება შეაშინოს სულ მცირე ხმამ, მეორეს მხრივ კი ძლიერ ხმაურზე, ან ხმამაღალ ლაპარაკზე არ ჰქონდეს რეაქცია.
- ბავშვებს აღენიშნებათ თვითსტიმულაცია (მაგ. ხტუნვა, ტრიალი), რომელიც კომპენსატორულ ხასიათს ატარებს და უცნაურ, არაადეკვატურ მოქმედებებად აღიქმება.

გონებრივი უნარების არათანაბარი განვითარება:

- ახასიათებთ გონებრივი ჩამორჩენილობის სხვადასხვა ხარისხი.
- საშუალო და საშუალოზე მაღალი ინტელექტი მხოლოდ 20% აქვს.
- ხშირად აქვთ მუსიკის, ხატვის, ანგარიშის, ფაქტების დამახსოვრების გაძლიერებული უნარები.

ცვლილებებისადმი რეზისტენტობა

- უჭირთ რაიმე შეცვალონ საკუთარ მოქმედებაში და ვერ იტანენ გარემოში მოულოდნელ ცვლილებებს.
- ახალი გარემო მათთვის ძლიერი უარყოფითი ემოციებისა და შიშების წყაროა.
- ნაცნობი გარემოსა და ყოველდღიური ცხოვრების წესის თუნდაც მცირეოდმა ცვლილებამ (მაგ. ოთახის მოწყობაში, ჭამის, თუ დაბანის პროცესში), შეიძლება, ბავშვის მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვიოს.

ემოციური სფეროსა და ქცევის პრობლემები

- შიშები
- უცნაური რიტუალური, სტერეოტიპული მოქმედებები, რომელთაც დაცვითი ხასიათი აქვთ.
- თამაში ბავშვებთან სტერეოტიპულ ხასიათს ატარებს, მათ არ შეუძლიათ წარმოსახვითი და როლური თამაში.
- სათამაშოებიდან უპირატესობას არასპეციალიზებულ სათამაშოებს ანიჭებენ (კუბიკები, მძივები)
- ხშირად ბავშვებს იზიდავს საგნის რომელიმე ნაწილი ან თვისება.

აუტიზმის კლინიკური ნიშნები

სფერო	ნიშნები
ინტერპერსონალ ური გარემო	ემპათიის უქონლობა: სოციალური ურთიერთობის, წესების გაგების დაქვეითება; სოციალური ურთიერთობაში რეციპროკულობის არარსებობა; მიჯაჭვულობის დარგვევა;
მეტყველება	მეტყველების განვითარების შეფერხება; სოციალური საუბრის დარღვევა; საუბარში ენის შემოქმედებითი გამოყენება; ექოლოგია; ნეოლოგიზმები; ნაცვალ სახელების რევერსია.
ქცევა	წარმოსახვითი თამაშის შეუძლებლობა; სტერეოტიპული ქცევები; რიტუალები და ცვლილებებისადმი ძლიერი რეზისტენტობა.
ქცევა/ემოცია	არაადეკვატური ემოციური ექსპრესია; ცვლილებაზე ინტენსიური ნეგატიური ემოციური რეაგირება; შიშები.
კოგნიტური სფერო	75%-ს აქვს 70-ზე დაბალი IQ ; არავერბალური IQ მეტია ვერბალურზე; სოციალური პრობლემური სიტუაციის გადაწყვეტის უუნარობა; ზოგიერთი კოგნიტური უნარის იზოლიებული განვითარება.

გამომწვევი მიზეზები

აუტიზმის გამომწვევი მიზეზები უცნობია, მაგრამ არსებობს რამდენიმე ჰიპოთეზა:

- გენეტიკური ფაქტორები, მემკვიდრეობითობა
- გარემოს მავნე ზემოქმედება.
- ანომალიები თავის ტვინის სხვადასხვა უბნებში.

გავრცელების სიხშირე

აუტიზმი გვხვდება მსოფლიო მოსახლეობის ყველა რასისა და სოციალური მდგომარეობის პირთა შორის.

10000 ადამიანიდან 2-დან 10 შემთხვევა

აუტიზმი სამჯერ უფრო ხშირია ბიჭებში, ვიდრე გოგონებში.

სწავლების სტრატეგიები

როგორ ვასწავლოთ აუტიზმის მქონე ბავშვს?

მნიშვნელოვანია შესაბამისი სპეციალისტების მიერ გაკეთდეს დიფერენციალური დიაგნოზი სხვა მდგომარეობების გამოსარიცხად, როგორიცაა:

- სმენის მძიმე დარღვევა;
- ინტელექტუალური დარღვევა;
- მეტყველების განვითარების სპეციფიკური დარღვევა;
- ელექტიური მუტიზმი;

სწავლებისას გასათვალისწინებელია:`

- ✓სწავლის სტილის~ დადგენა(ვიზუალური, ვერბალური, კინესთეტიკური)
- ✓მშობლის ჩართულობა
- ✓ძლიერი და სუსტი მხარეების გამოყოფა
- ✓ინდივიდუალური სასწავლო გეგმა

როგორ ვასწავლოთ აუტიზმის მქონე ბავშვს?

- მნიშვნელოვანია გაირკვეს:

- რას აკეთებს ინტერესით.
- რა სახის მითითებებს ასრულებს.
- რისი გაკეთება შეუძლია დამოუკიდებლად.
- რა სახის გამღიზიანებლები/სტიმულები აღიზიანებს
- როგორ რეაგირებს ცვლილებებზე.
- როგორ გამოხატავს სიხარულს, გაბრაზებას.

დიდი მადლობა ყურადღებისთვის!

გამოყენებული
ლიტერეტურა:

"ბავშვის ფსიქიკური განვითარების დარღვევები",
თ. გაგოშიძე